საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ირაკლი ადეიშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**3**	**5**
პროფესიული აქტივობები	**4**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ირაკლი ადეიშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ირაკლი ადეიშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი არის კორექტული, თავშეკავებული და გამოირჩევა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ და ფინანსურ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას, გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები, აფასებენ დადებითად. ასევე, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	ირაკლი ადეიშვილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი კარგად იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებით, აზრის დასაბუთებულად გადმოცემითა და ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილებით. მისი მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 10 წელს. ამასთან, იგი ამჟამად არის სს „სილქნეტის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი და მედიატორი.
წერის უნარი	19	20	ირაკლი ადეიშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახდენს სამართლებრივი ნორმების სწორ განმარტებასა და ფაქტების

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინება, საქმე N2ბ/1993-14, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N2ბ/671-13, სამართლებრივი პუბლიკაციები: „ქალთა უფლებების დაცვის ტენდენციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში“, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედეტნული სამართლის ადგილი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში“.

			თანმიმდევრულ განვითარებას. ამასთან, მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ნათელი და არაორაზროვანი. აღსანიშნავია, რომ მის მიერ მომზადებული დოკუმენტები არის მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი და შესრულებულია გამართული სამართლებრივი ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. აგრეთვე, იგი არის თავდაჯერებული, გაწონასწორებული და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	ირაკლი ადეიშვილი გამოირჩევა მიზანდასახულობით, შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2015 წელს, დეპარტამენტმა ვერ შეძლო მოეძიებინა და დაემუშავებინა სტატისტიკური ინფორმაცია მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5	კანდიდატს ცოდნის გაღრმავების მიზნით მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ 1 სემინარში.
პროფესიული აქტივობა	4	5	ირაკლი ადეიშვილის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში, სადისერტაციო თემას წარმოადგენს - „კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით“. ასევე, კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ იგი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში უძღვება კურსს - „სამეწარმეო სამართლის აქტუალურ საკითხები“ და აღნიშნულ ასოციაციის მოსამზადებელ ჯგუფებს ასწავლის სამეწარმეო სამართალს.

			აღსანიშნავია, რომ ირაკლი ადეიშვილი ატარებდა ტრეინინგებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო ეთიკასა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი წარმოადგენს არაერთი სამართლებრივი სტატიისა და წიგნის ავტორს/თანაავტორს.
ქულათა ჯამი	87	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ირაკლი ადეიშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ირაკლი ადეიშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ირაკლი ადეიშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ირაკლი ადეიშვილის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ გამოკითხული რეკომენდატორები და კანდიდატთან		

	სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები ირაკლი ადეიშვილის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, გულწრფელი, კორექტული და სიმართლისმოყვარე. ასევე, აღნიშნავენ, რომ მას ახასიათებს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და საქმისადმი ერთგულება. უნდა ითქვას ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე ირაკლი ადეიშვილმა დატოვა საკმაოდ მშვიდი, გაწონასწორებული და კორექტული პიროვნების შთაბეჭდილება. რაც შეეხება, მისი მხრიდან მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის სწორად გააზრების საკითხს, ვფიქრობ, რომ ამ კუთხით კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად, ვინაიდან მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი ჯეროვნად ასრულებს როგორც სამსახურებრივ, ისე ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს. მაგალითად, მისი მხრიდან დროულად არის გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები, იგი კარგად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და სხვ. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ადეიშვილის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები აცხადებენ, რომ იგი არის დამოუკიდებელი, სამართლიანი, ობიექტური და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამასთან, უთითებენ, იმასაც რომ იგი არის პრინციპული და ზეგავლენის მიმართ მედეგი. კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიკერძოებულობის ნიშნები. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით ირაკლი ადეიშვილის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ მის წინააღმდეგ არ განხორციელებულა დისციპლინური დევნა, არ დაწყებულა სისხლისამართლებრივი წარმოება და არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლოში წარმართულ დავებში დაზარალებულად. ამასთან, რაც შეეხება სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ კანდიდატის მონაწილეობის საკითხს ამის თაობაზე უნდა ითქვას, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ადეიშვილი იყო მოსარჩელე ერთ სამოქალაქო საქმეში, დავის საგანს წარმოადგენდა - პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც უცვლელი დატოვეს ზემდგომმა ინსტანციებმაც. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ადეიშვილი საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა სამართლებრივი თუ ზოგადი ხასიათის საკითხის განხილვისას ცდილობდა, რომ საკუთარი პოზიცია დაეცვა კორექტულად, ამასთან, გამოირჩეოდა

	თავდაჭერილობითა და საკუთარი ემოციების მართვის უნარით. აღსანიშნავია ისიც, რომ კანდიდატის დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის მოწესრიგებული, თავმდაბალი და აქვს უნარი სხვებთან ურთიერთობისას გამოიჩინოს ზომიერება, თანმიმდევრულობა და ტოლერანტულობა. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, ირაკლი ადეიშვილის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესილ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი გამოირჩევა მაღალი მორალური რეპუტაციით და კოლეგებსა და იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაციის შესაბამისად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ძირითადად ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ირაკლი ადეიშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრი. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ირაკლი ადეიშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ირაკლი ადეიშვილის

	შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით</u>* უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი ადეიშვილი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს ადამიანის უფლებების სამართალს. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ადეიშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 11 დეკემბერს ირაკლი ადეიშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ადეიშვილი იყო მშვიდი, თავდაჯერებული, თანმიმდევრული და კორექტული. თუმცა, მან ვერ შეძლო პასუხი გაეცა ყველა დასმული შეკითხვისათვის. ამასთან, მას ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე გაუჭირდა სრულყოფილი, არგუმენტირებული და დასაბუთებული მსჯელობის განვითარება. საჯარო მოსმენისას გამოიკვეთა, რომ ირაკლი ადეიშვილს ესაჭიროება შიდა, ეროვნული კანონმდებლობის კიდევ უფრო სიღმისეულად შესწავლა და გაანალიზება. ირაკლი ადეიშვილის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u>* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. მისი მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის ხანგრძლივობა შეადგენს 10 წელს. იგი ამჟამად არის სს „სილქნეტის“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი და მედიატორი. რაც შეეხება კანდიდატის წერის უნარს, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი

[2] იხ. ირაკლი ადეიშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=2CIR4N5CWmw

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 მაისის განჩინება, საქმე N2ბ/1993-14, თბილისის

	გამოირჩევა წერის კარგი უნარით. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახდენს სამართლებრივი ნორმების სწორ განმარტებასა და ფაქტების თანმიმდევრულ განვითარებას. მის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის ნათელი და არაორაზროვანი. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტები არის მკითხველისთვის ადვილად აღსაქმელი და შესრულებულია გამართული ენით. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა არ გამოვლენილა. ირაკლი ადეიშვილის *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს გამართული მეტყველების უნარი. აგრეთვე, იგი არის თავდაჯერებული, გაწონასწორებული და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. ირაკლი ადეიშვილის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარგაზში ქცევასთან* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა მიზანდასახულობით, შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. თუმცა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2015 წელს, დეპარტამენტმა ვერ შეძლო მოეძიებინა და დაემუშავებინა სტატისტიკური ინფორმაცია მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის თაობაზე. ირაკლი ადეიშვილის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი არის საკმაოდ აქტიური პროფესიული აქტივობის კუთხით. იგი სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში, სადისერტაციო თემას წარმოადგენს - „კომერციული იურიდიული პირების უფლებების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით“. ასევე, კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ იგი იღებდა სტიპენდიას (სოროსის ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო) ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (ქ. ბუდაპეშტი) სწავლისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი ადეიშვილი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში უძღვება კურსს - „სამეწარმეო სამართლის აქტუალურ საკითხები“, რომელიც შემუშავებულ იქნა მის მიერ, UNDP-ის დაფინანსებით, ტრენერთა ტრეინინგისათვის, აგრეთვე, მოსამზადებელ ჯგუფებს ასწავლის სამეწარმეო სამართალს. აღსანიშნავია, რომ ირაკლი ადეიშვილი ატარებდა ტრენინგებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოსამართლო ეთიკასა და დისკრიმინაციის აკრძალვის სამართალში. ასევე, კანდიდატი წარმოადგენს არაერთი სამართლებრივი სტატიისა და

	წიგნის ავტორს/თანაავტორს. აგრეთვე, იგი არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა“ და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ წევრი. ირაკლი ადეიშვილი იყო ინგლისისა და უელსის კომერციული სასამართლოს ბიზნესისა და ქონებრივი დავების სასამართლო პალატის სამართლის ექსპერტი. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ ირაკლი ადეიშვილთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგენს 87 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021